

**„ გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების
თანადაფინანსების“ პროექტის (შემნახველი საწარმოების
თანადაფინანსების“ კომპონენტი) ფარგლებში შესაქმნელი მარცვლეულის
შემნახველი მეურნეობის მიმართ წაყენებული არსებითი მოთხოვნები**

მოთხოვნები ტერიტორიის მიმართ

მარცვალსაცავისთვის გამოყოფილი ტერიტორია უნდა იყოს მშრალი, არ უნდა იტბორებოდეს. უნდა გააჩნდეს დაქანება ატმოსფერული ნალექების დასაწრეტად.

ტერიტორია სადაც მარცვალსაცავი უნდა აშენდეს, რელიეფის მიხედვით უნდა იყოს უფრო მაღლა ვიდრე ფერმა და ნაკელის შესანახი ადგილი, ასეთის მეზობლად არსებობის შემთხვევაში, მინიმალური დაშორება მისგან შეადგენს 300 მ-ს. აღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება ცხოველის, ფრინველის, თევზის საკვებად განსაზღვრულ მარცვლეულის შემნახველ საწარმოებზე, ასევე ინდუსტრიულ შემნახველ საწარმოებზე, სადაც უზრუნველყოფილია ფერმისა და ნაკელის შესანახი ადგილებიდან ჰიგიენური მოთხოვნებით აკრძალული აგენტების მოხვედრა შესანახ პროდუქტში.

შენობის ორიენტაცია უნდა განისაზღვროს ისე რომ, შენობის გრძივი ღერძი იყოს გაბატონებული ქარის მიმართულების პერპენდიკულარულად .

არსებითი მოთხოვნები შენობის და პროცესების მიმართ

მარცვალსაცავმა უნდა უზრუნველყოს მარცვლეულის დაცვა ატმოსფერული ნალექების, გრუნტის და ზედაპირული წყლისაგან, მღრნელების და ფრინველებისაგან.

მარცვალსაცავი შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მიწისზედა, ასევე ნახევრად მიწისქვეშა ნაგებობას.

ტექნოლოგიური პროცესები (დატვირთვა-გადმოტვირთვა, მარცვლის დამუშავება, არევა და სხვა) როგორც წესი უნდა ხორციელდებოდეს მექანიზირებულად.

შენობა- ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელი უნდა იყოს დატვირთული მანქანით მუშაობა.

მარცვალსაცავის იატაკი მოწყობილი უნდა იყოს დაბალი თბოგამტარებლობის მქონე მასალისაგან, რათა გამოირიცხოს კონდენსატის შემთხვევა და დაცვა გრუნტის წყლების შეღწევისგან,

მარცვალსაცავის კედლები უნდა იყოს სწორი, შიდა ზედაპირით ნაპრალების და ბზარების გარეშე.

ყველა ტიპის მარცვალსაცავში ყრილის ზედაპირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ვენტილიაციის შესაძლებლობით, სავენტილაციო არხები დაცული უნდა იყოს ისეთი მეტალის ბადით, რომელიც გამორიცხავს ფრინველების და მღრნელების შეღწევის შესაძლებლობას .

მარცვალსაცავი უნდა აკმაყოფილებდეს, აგრეთვე პროფილაქტიკური ღონისძიებების და შენახვის დროს მარცვლის მდგომარეობაზე კონტროლის შესაძლებლობას.

ყრილის მაქსიმალური სიმაღლე, სამრეწველო და საფურაჟე მშრალი, ასევე ნახევრად მშრალი მარცვლისთვის არ უნდა იყოს 5 მეტრზე მეტი .

მარცვალსაცავის მთლიანი დატვირთვის პირობებში შიდა სივრცის დაგეგმარებამ, უნდა უზრუნველყოს მარცვლის მდგომარეობაზე დაკვირვების შესაძლებლობა.

მარცვალსაცავში გათვალისწინებული უნდა იყოს დერეფანი, რომლის სიგანემ უნდა უზრუნველყოს მექანიზაციის გადაადგილება.

მარცვლის ტარაში შენახვისას შტაბელებს შორის ძირითადი გასასვლელის განი უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრი, განივი გასასვლელის არანაკლებ 1,2 მ დამხმარე გასასვლელი დაკვირვებისთვის კი არანაკლებ 0,6 მეტრი.

ხელოვნური განათება იატაკის მიმართ უნდა იყოს 5 ლუქსი.

ბუნებრივის განათების შემთხვევაში ფანჯრის ღიობების ფართობის შეფარდება საერთო ფართობთან უნდა იყოს 1:25- 1:50

მარცვლის ბუნებრივი შრობისთვის განკუთვნილი დახურული ტიპის სივრცის ფართობი უნდა იყოს მარცვალსაცავის ფართობის არანაკლებ 25% -ისა, ხოლო ღია სივრცის შემთხვევაში არანაკლებ 50%-სა.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარცვლის შრობა წონასწორულ ტენიანობამდე .

მარცვლის შრობის პროცესში შესანახი პროდუქტის მაქსიმალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 50-60°C, (სათესლე მარცვლის შემთხვევაში 45°C)

უზრუნველყოფილი უნდა იყოს მარცვლის აერაცია მარცვლის ჩაყრის წინ

მარცვალსაცავში შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული უნდა იყოს დაბალი ფარდობითი ტენიანობა (60-75%)

მარცვლის შესანახ საწარმოს უნდა გააჩნდეს მიმღებ -გამშვები მოწყობილობები
მარცვლის საშრობი, საწმენდი კომპლექტები

მარცვალსაცავები უნდა აკმაყოფილებდნენ სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო
მოთხოვნებს

მარცვალი შეიძლება განთავსებული იყოს როგორც ყრილის ასევე ტარის სახით.

მარცვლის შესანახი საწარმოს ძირითადი აღჭურვილობა

- 1) მარცვლის გამწმენდი (სეპარატორი) დანადგარი და მაგნიტური სვეტები,
- 2) მარცვლის ტენიანიანობის 14% -მდე შესამცირებლად და შრობის პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო საშრობები,
- 3) გამწმენდი შნეკი
- 4) მარცვალსაცავი აღჭურვილი უნდა იყოს აქტიური ვენტილიაციის სისტემებით.
დანადგარების სიმძლავრე შესაბამისობაში უნდა იყოს შესანახი მარცვლის
რაოდენობასთან.
- 5) მარცვლის ფენის სისქის (დონის)ინდიკატორი
- 6) ტენზომომი
- 7) მარცვალსაცავს უნდა გააჩნდეს კონტროლის სისტემები. რომლებმაც უნდა
უზრუნველყოს მარცვლეულის მოკლე და გრძელვადიანი შენახვისათვის
საჭირო ოპტიმალური პირობების მართვა .